პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურად, ... მიიღება ... 9—3 საათ. ყოველ დღე რედაქცია. მისამართი: ხახ. ხამბ. ... რუსთაველის პრ. № 31

კვირა 15 აპრილი 1923 წ.
წელიწადი მესამე

№ 256 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 256

განცხადება

ორშაბათს, 16 აპრილს, საღამოს 8 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება პრეზიდიუმის მოღვაწეობისა და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
2. „კომხაცუცსის" მოხსენება მუშათა მდგომარეობის შესახებ.

საბჭოს წევრები, რომელთაც არ მიუღიათ საწევრო წიგნაკები, ვალდებულნი არიან მიიღონ დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უწიგნაკოთ არ იქნებიან დაშვებული სხდომაზე.

პრეზიდიუმი.

სამაზროების და ბიურო კოლექტივების საყურადღებოთ.

საქ. [illegible] პარტ.-კომისია უკანასკნელად წ[illegible] გაძლევთ, რომ მიიღოთ დარჩენილი პარტ-ბილეთები ამავე თვის [illegible] ... ყველა იმ ამხანაგების, რომლებმაც მიიღეს დროებითი პარტ-ბილეთები — აღნიშნული სად გაიარეს გადაწყვეტი ან რა მიზეზით არ გაიარეს [illegible] ცნობები უნდა იქნეს წარმოდგენილი დღიდან ამის გამოცხადებისა 3 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის მგებელ პირებს მთავრობების პასუხი პარტკომისიაში გადაეცემათ.

პარტ-კომისია.

იმპერიალიზმის [illegible] მოუწოდებს პროლეტარიატის შეერთებას

საფრანგეთის იმპერიალიზმის ნიადაგი მეტად შეირყა. ამას თვით საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები მოწმობენ, რომლებსაც ისინი ლიბერალური ბურჟუაზიის სახელით დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ რურის ავანტიურის დაუსრულებლობის გამო. საფრანგეთის მილიტარიზმის ცდა ოკუპაციის საშუალებით განაღდებინათ რეპარაციები, სრული დამარცხებით დამთავრდა. ნაცვლად 4 ნახ. მილ. ტონი ქვანახშირისა მათ მხოლოდ შესძლეს 298.000 ტონი ქვანახშირის გატანა საფრანგეთში, რომლისაც კი მათ შეეძლოთ ასეთის მიღება მშვიდობიანი გზით. დამარცხებული თავგასულ [illegible] მიზნების განხორციელებაში საფრანგეთის იმპერიალიზმი უსასრულოდ [illegible] გერმანიის მშრომელ ხალხს [illegible] რეპრესიებით, მის სიმდიდრეს და თავისუფლებას არა აქვს [illegible] საზღვარი. ჯერ კიდევ ჩვენს მახსოვრობაში არ წაშლილა ესსენის სისხლიანი ტრაგედია, რომ რადიოს მოაქვს ცნობა დუისბურგში საფრანგეთის ჯარების მიერ მუშათა დემონსტრაციაზე თავდასხმის შესახებ და მრავალ მუშების დახვრეტაზე. საფრანგეთის ბურჟუაზია მთელ თავის სიმძიმეს და [illegible] გერმანიის მუშათა კლასის ზურგზე, რომელიც საშინელ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. გერმანიის მუშათა კლასს არა თუ საფრანგეთის ბურჟუაზია სდევნის და აწვება, არამედ თვით გერმანიის ბურჟუაზიაც ყოველივე ზომებს ხმარობს, რათა გერმანიის მუშათა კლასი გახადოს პასიური, უმოქმედო და რაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის რევოლიუციონურ თვითმოქმედებას. რურის ოკუპაციამ არა თუ არ ამოსწურა ცენტრალურ ევროპის კრიზისი, პირიქით უფრო გააღრმავა და გაამწვავა ის.

მან სრულიად მოშალა და განადგურებამდე მიიყვანა მთელი რურის მრეწველობა. ქუჩაზე გამოყარა უმუშევარი მუშები და ამით არა თუ თვითონ ისარგებლა, არამედ უფრო ხელი შეუწყო თავისი კონკურენტი [illegible] გაძლიერებას. თავის ავანტიურის შედეგად პუანკარემ მიიღო მხოლოდ [illegible] და თავისი იმპერიალისტური ჯარის დემორალიზაცია. საფრანგეთის საშინელი ავანტიურა და ტერორი გაუძღვება როგორც გერმანიის მუშათა კლასს, ისე თვით საფრანგეთის პროლეტარიატსაც რევოლიუციისაკენ. ევროპის კრიზისი იმდენად გაიზარდა, რომ ბურჟუაზიას არა თუ არ ძალუძს მისი ამოწურვა, პირიქით ის მთელი თავისი ძალღონით ხელს უწყობს მის გაღრმავებას, მხოლოდ ევროპის პროლეტარიატს კი, რომელიც დამდგარია რევოლიუციის გზაზე შეუძლია ამ კრიზისის ამოწურვა ბურჟუაზიულ ევროპის დამხობით და რევოლიუციონური პროლეტარული დიქტატურის დამყარებით. ჩვენ ამას ველით და ეს დროც მალე დადგება.

დავეხმაროთ გაზეთ „წითელ-არმიელს"

არა ერთხელ და ორჯელ დაწერილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, იმ უმწეო მდგომარეობის შესახებ რომელსაც ამ ჟამად განიცდის ჩვენი გაზეთი „წითელ-არმიელი". ყველა პატრიოსანი და შეგნებული [illegible] დღის მოვალეობა იყოს გაიღოს თავისი წვლილი გაზეთის სასარგებლოთ, მაგრამ ის მოწოდება რომელიც გამოუშვა ჩვენმა გაზეთმა და რომელშიაც მოითხოვდა დახმარებას თვით [illegible] შესაძლო [illegible] არ იქნა ჩვენი ნაწილების მიერ სათანადოთ გაგებული. ამ [illegible] ამხანაგებო, როდესაც ყველა გაზეთების ტირაჟი რომელიც კი გამოდის ჩვენ რესპუბლიკების ფარგლებში იზრდება, ჩვენმა გაზეთმა თავისი ტირაჟი შეამცირა თითქმის 60 პროც.! რაშია საქმე? შეიძლება თქვენ იფიქროთ რომ მას არ აქვს საკმაო მოთხოვნილება? არა, პირიქით, მისი მოთხოვნილება უსაზღვროა და აუცილებელიც არის მისი არსებობა ჩვენი მეტად დიდი მნიშვნელობის წითელი ჯარისათვის! მაშ რამ გამოიწვია მისი ტირაჟის ამოდენად შემცირება? იკითხავთ თქვენ. რასაკვირველია საქმის [illegible] უყურადღებობამ. როდესაც ხედავს ჩვენი მხედრობა ასეთ მდგომარეობას ისინი დადუმებული არიან. ისინი თითქოს ვერ ხედავენ თუ რა გაჭირვებას განიცდის მათი გაზეთი. ისინი თითქოს ვერ ამჩნევენ რომ მათ ნაწილში 100 ცალი გაზეთის მაგიერად დაბეჭდილობენ 40 ცალი და [illegible] ამხანაგებმა გამოიწერეთ და [illegible] თქვენს გაზეთს. გადახდეთ [illegible] „კრასნი ვოინს" თქვენ რომ ჰკითხოთ რუს წითელ არმიელს, ის გიპასუხებს რომ რამოდენიმე პროცენტი მისი ჯამაგირისა მიდის „კრასნი ვოინის" სასარგებლოთ. მიბაძეთ თქვენც იმათ მაგალითს. ნუ არ მინდა ან ვსთქვა, რომ თითქოს მარტო წითელ არმიელებს შეუძლიათ გაზეთის შენახვა; ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს უფროსმეთაურობამაც. [illegible] შეფებმა [illegible] ქართული ჯარის ნაწილების შეფები სისტემატიური დახმარება გაუწიონ ჩვენ გაზეთს. [illegible] უნდა მიაქციონ ამ მოვლენას სათანადო ყურადღება თუ, სურთ ყოლიეთ შეგნებული და მათი ინტერესების მტკიცე დამცველი ჯარი.

ამხანაგებო, არმიელებო, ჩვენ გაწვევთ პირველი მაგალითი [illegible] დაეხმაროთ შეფების [illegible] ჩვენ გაზეთ „წითელ არმიელს", რომელსაც დაანახვებს ჩვენს მისწრაფებებს და ერთგულებას გაზეთისადმი, [illegible] სიცოცხლისა, [illegible] თავისი წვლილს, გამოიტანეთ ამხანაგებო, რომ გაზეთ „წითელ-არმიელი" ერთგული მეგობარი წითელი არმიელისა.

წ-არ. გამგე.



— პარიზში გაიმართა ბელგიის და საფრანგეთის მთავრობების წარმომადგენელთა თათბირი.

— გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთები მოითხოვენ, რომ მთავრობამ გადასცეს წინადადება საფრანგეთთან მოლაპარაკების დაწყებისა.

— იტალიაში სდევნიან სინდიკალისტებს.

— ჰამბურგში შესდგება კონგრესი, რომლის მიზანი არის ვენის და ლონდონის ინტერნაციონალების გაერთიანება.

რურის ოკუპაცია.

[illegible]

— პარიზის თათბირზე [illegible] განაცხადა [illegible] რომლითაც უნდა მიიყვანოს საფრანგეთი და ბელგია [illegible] გადაწყვეტილება. ამ გეგმის თანახმად, ინგლისი და ამერიკა [illegible] რომ პარიზში მიიღეს [illegible] თავის [illegible] ახალი [illegible] საკითხის შესახებ.

შეთანხმება

— შესდგა [illegible] და ბურჟუაზიის [illegible] მთავრობის, რომლებმაც მიაღწიეს სრული შეთანხმება შემდეგი პოლიტიკის შესახებ.

გერმანიის წარმომადგენლის გაცხადება.

— გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი [illegible] გამოცხადებულ [illegible] ოლქიდან.

[illegible]

— ესენში უმუშევრობა [illegible] რომლებსაც [illegible] მათ [illegible] გერმანელ [illegible] რომლებიც [illegible] მუშაობაზე.

საფრანგეთის და ბელგიის თათბირი.

— პარიზში [illegible] ბელგიის [illegible] საქმეთა მინისტრი [illegible] რომელიც თათბირის [illegible] საფრანგეთის [illegible] ამ თათბირის.

უცხოეთი

შვეიცარია

სოციალ-დემოკრატები [illegible] შეუთანხმებლობისათვის.

— გაზეთი [illegible] ნაწილების [illegible] სხვებ, რომელიც [illegible] შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიამ 2-ოე ინტერნაციონალთან [illegible] ნაწილები წარმომადგენლების შეტანით, რომელიც მოითხოვს დელეგატების გაგზავნას ჰამბურგის კონგრესზე, რომლის მიზანი ვენის და ლონდონის ინტერნაციონალების გაერთიანება.

ესპანია

სინდიკალისტების ხოცვა გრძელდება.

— მადრიდიდან იუწყებიან, რომ სინდიკალისტებზე თავდასხმები გრძელდება. ბარსელონაში მოკლულია ერთი სინდიკალისტი და ერთიც დაჭრილია. [illegible] დაჭრილია 4 სინდიკალისტი.

ამერიკა

მთავრობა აგიტაციას იწყებს საერთაშორისო ტრიბუნალში მონაწილეობისათვის.

— ამერიკულ პრესის ცნობით მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს რათა დაარწმუნოს მასები იმაში, რომ საჭიროა ამერიკამ მონაწილეობა მიიღოს [illegible] საერთაშორისო ტრიბუნალის მუშაობაში.

ინგლისი

მთავრობის დამარცხება

თემთა პალატაში მთავრობის უმაგალითო დამარცხების გამო მთავრობის წრეები ფიქრობენ, რომ საჭიროა ემზადონ ახალი საარჩევნო კამპანიისათვის. ფინანსიურ კანონპროექტის განხილვის დროს მთავრობას ხმა მისცა 138 წევრმა წინააღმდეგ 145-ისა.

ამ ინციდენტს სთვლიან იმ ფაქტორად, რომელიც მთავარ როლს თამაშობს მთავრობის მომავალ პოლიტიკის შეცვლის მიზეზათ ითვლება ამ ჟამად სასოფლო სამეურნეო [illegible]. ფერმერები მოელიან მთავრობისგან სასოფლო სამეურნეო სუბსიდიებს და ფიქრობენ, რომ თუ მთავრობა არ დაეხმარა მათ, ისე კრიზის უფრო შეამცირებენ სასოფლო სამეურნეო მუშების ხელფასს, ვინაიდან დაიწყო საერთო კამპანია, რომელსაც აწარმოებენ კონსერვატიული პარტიები ასეთ სუბსიდიების სასარგებლოთ შესაძლებელია ზოგიერთი ნაწილი დათმობაზე მთავრობის მხრივ.

მეამბოხეთა მთავარ სარდლის გარდაცვალება ირლანდიაში.

ლონდონიდან მოსული ცნობის თანახმად გარდაიცვალა ირლანდიის თავისუფლების სახელმწიფოს მეამბოხეთა მთავარ სარდალი ლიამლინჩი იმ ჭრილობებისაგან, რომელიც მან მიიღო ნოკ-[illegible] მთავრობის ჯარებთან შეტაკების დროს. მთელი პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს ლიამლინჩის გარდაცვალებას და ფიქრობს, რომ არ გამოიწვევს დიდ ცვლილებას მეამბოხეთა მოძრაობაში.

გერმანია.

მარტოვის გარდაცვალება.

მარტოვის დაკრძალვაზე, დასწრენ [illegible]

ვიკები დაკრძალვის დროს სიტყვები წარმოსთქვეს—კრისპინმა, აბრამოვიჩმა, წერეთელმა და ჩერნოვმა. დაკრძალვას დაესწრნენ აგრეთვე მაქსიმ გორკი და გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტი.

ბელგია.

კომუნისტების პროცესი.

— ბელგიაში, ბრიუსელში დაიწყო 15 დატუსაღებულ კომუნისტების პროცესი.

ნანსენი საბჭოთა რუსეთის ფინანსიური აპარატის შესახებ.

— ნანსენი მორიგ წერილში საბჭოთა რუსეთზე აღწერს საბჭოთა რუსეთის ფინანსიურ აპარატს და იძლევა ანგარიშს ბანკის დირექტორ შეიმანთან თავის საუბრის შესახებ.

ჩინეთი

ანტი-იაპონური მოძრაობა ძლიერდება.

— ანტი-იაპონური მოძრაობა ჩინეთში შესამჩნევათ ძლიერდება. ჩინეთის ფირმები აუქმებენ იაპონელებთან დადებულ ხელშეკრულებებს. ამ მოძრაობის ცენტრია შანხაი.

გერმანიის პრესა მოლაპარაკების შესახებ.

— სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერსტი" მოითხოვს, რომ გერმანიის მთავრობამ დაუყონებლივ გადასდგას ნაბიჯები საფრანგეთთან მოლაპარაკებების დასაწყებათ. ამასვე მოითხოვს გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი", მაგრამ ეს გაზეთი სიმძიმის ცენტრს ხედავს არა მთავრობის ინიციატივაში, არამედ სამრეწველო წრეების არაოფიციალურ ნაბიჯებში. მემარჯვენე პრესა პირიქით, დიდი თავდაჭერილობით ლაპარაკობს მოლაპარაკებისათვის ახალი ნაბიჯების შესახებ. გაზეთი „ცეიტი" აცხადებს, რომ მოლაპარაკება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრანგეთი დამარცხებულად იგრძნობს თავისთავს გერმანელების პასიური წინააღმდეგობით.

საბჭოთა საქართველოში

ანტისარწმუნოებრივი კომპანია.

— ქუთაისის მაზრაში ანტისარწმუნოებრივი კომპანია ღებულობს ფართე ხასიათს. ზოგ თემებსა და სოფლებში გლეხობა თვით იჩენს ინიციატივას ეკლესიების დახურვის საქმეში. ზოგიერთ ადგილებში ღვდლებმა თვით განაცხადეს უარი ეკლესიებში სამსახურზე და გადასცეს ეკლესიები ადგილობრივ ხელისუფლებას.

— სამტრედიის რაიონში გააუქმეს 15 ეკლესია, შვიდი მათ შორის გადააკეთეს კლუბებათ. სხვა ადგილებშიაც ამგვარადვე სწარმოებს ეკლესიების გაუქმება და მოსალოდნელია, რომ ძლიერ ცოტა ხანში არ დარჩეს ქუთაისის მაზრაში არც ერთი ეკლესია და ღვდლებმაც ყველგან გაიძრონ ანაფორა.

საჰაერო ფლოტის გარშემო

ჰაეროპლანი „ხორუდაინ ჰაიასტან". ერევანში დაიწყო კომპანია ჰაეროპლან „ხორუდაინ ჰაიასტანის" აშენების გარშემო. შემოწირულება მრავლად მოდის.

საჰაერო ფლოტის საერთაშორისო შეჯიბრება.

ახლო მომავალში შესდგება საჰაერო ფლოტის საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც მონაწილეობას იღებს რუსეთის საჰაერო ფლოტის ძალებიც.

ბაქოს ამხ. დახმარება.

საფინანსო კომისარიატის კომუჯრედის წევრებმა დაადგინეს თავისი სამი დღის ჯამაგირი შესწირონ საჰაერო ფლოტის ფონდს, ხოლო დივიზიის შტაბის კომუჯრედმა კი ორი დღის ჯამაგირი.

ხელოვნება.

სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „გრდემლი"—20 აპრილს ტფილისში პავლე მ. საყვარელიძის რედაქტორობით გამოვა დიდ-ტანიანი სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „გრდემლი".

ეგ. ნინოშვილის ნაწარმოები სომხურ ენაზე—სომეხი მხატვარი და ლიტერატორი ბაშინჯაღიანი თარგმნის სომხურ ენაზე ეგნატე ნინოშვილის მოთხრობას „მოსე მწერალს".

რეჟისორ ვახტანგ მჭედლიშვილის ჩამოსვლა.—ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა მოსკოვის სამხატვრო და მცირე თეატრების რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი, რომელიც დასდგამს რუსთაველის თეატრში რამოდენიმე წარმოდგენას.

ალ. იმედაშვილის ბენეფისი—ხუთშაბათს 19 აპრილს რუსთაველის თეატრში გაიმართება ნიჭიერ მსახიობ ალ. იმედაშვილის ბენეფისი. წარმოდგენილ იქნება შექსპირის „მაკბეტი". მაკბეტის როლს შეასრულებს თვით იმედაშვილი.

ალ. ინაშვილის ბენეფისი—დღეს სახ. ოპერის თეატრში საზღვარ-გარეთ გამგზავრების წინ გაიმართება საოპერო მსახიობ ალ. ინაშვილის გამოსათხოვარი ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება „ტოსკა" და „აბესალომ და ეთერი" მეოთხე მოქმედება. მონაწილეობენ საუკეთესო ძალები. დირიჟორობს ფალიაშვილი.

1923 წ. კვირას აპრილს 15-ს სახალხო სახლში თამარა გოგოლაშვილის საღამო. პოლიტ გან. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ამ სეზონში ნ. გერგესელის მიერ გადმოკეთებული „ელეონორა" პიესა 3 მ. 2) „დარისპანის გასაჭირი" დავით კლდიაშვილის 1 მოქ. მსახიობ თამარა გოგოლაშვილის მონაწილეობით

„რუსთაველის თეატრი". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მესამედ ოპერეტკა „ნატვრის თვალი".

სახალხო კონცერტი.

20 აპრილს სახალხო სახლში გაიმართება სახალხო სიმღერების კონცერტი ცნობილ მომღერალ მ. თარხნიშვილის გუნდის მიერ.

ჩვენს წითელ ჯარში

ჩვენს გაზეთს ყველა კითხულობს.

№ ლეგიონის წითელ მოლაშქრეებს, სისტემატიურათ მოსდით გაზეთები. წაუკითხეთ, რომ გაზ. „წით. არმიელი" დახმარებას ითხოვს. წით. არმიელები მუდამ მზათ ვიყავით გვეზრუნა ჩვენი გაზეთის ბედ-იღბალზე და ეხლაც შეძლების დაგვარათ მზათ ვართ არ მოვაკლოთ მას ეს მზრუნველობა. ასეთია ჩვენი აზრი ლეგიონის ყველა მოლაშქრისა.

„წითელ არმიელი" მარტო ჩვენ არ მოგვწონს, მას ხშირათ შეხვდებით თქვენ აქ, გლეხების ხელშიაც ერთმანეთს, რომ უკითხავენ.

ოღონდაც გაზეთმა იარსებოს და ჩვენ ჩვენის მხრივ არ მოვაკლებთ ჩვენს დახმარებას.

ქარჩხაძელი.

კლუბი გაკეთდა

უკანასკნელათ მეორე ლეგიონის კლუბის საქმე გამოკეთდა. უწინ ყველა ნეპოს პოლიტიკით ხელმძღვანელობდა და კლუბში არ ჰქონდა თავისუფლად შესვლის უფლება ყველა წითელ არმიაში მსახურთ.

ეხლა კი ასეთს ადგილი არ აქვს კლუბში ხშირათ ეწყობა კინო-სეანსები. 26 მარტს აჩვენებდნენ „სურამის ციხეს".

სეანსებს გარეშე ხალხიც ესწრება და შემოსავალიც არის. ერთი რამ უნდა უსაყვედუროთ კლუბის გამგეებს: ვერ იქნა და ვერა მათი ყურადღების ღირსი ვერ გახდა ჩვენი სამკითხველო. მოიხედეთ აქეთკენ.

დრამატიული წრეც ენერგიულად მუშაობს. სდგამენ პიესებს და ლამაზათ ასრულებენ დანაკისრ როლებს.

ნაპერწკალი.

რათ არაა სამხატ. წრე

მეორე ლეგიონში მუშაობს ორი კარგათ გამოცდილი მხატვარი, რომელთაც თავისუფლათ შეუძლიათ იმუშაონ წრეშიაც, რომ ასეთი არსებობდეს, მაგრამ რატომღაც სამხატვრო წრე არ არსებობს.

ვინ უნდა იზრუნოს ამის შესახებ?

გკადი.

გურიაში მყოფ [illegible]-რ ნაწილის მუშაობა.

რამოდენიმე კვირაა რაც [illegible]-რ ლეგიონის წ. არმიელები იმყოფებიან გურიაში. მათი დანიშნულება იყო მშრომელი ხალხის მტრების ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლა, ეს დანიშნულება მათ შეასრულეს პირნათლად, ამ ჟამად გურიაში მომხდარია თითქმის სრული ლიკვიდაცია ბანდიტებისა. გარდა ბანდიტებთან ბრძოლისა ნაწილი ეწევა კულტურულ განმანათლებელ მუშაობას.

ნაწილმა გურიაში ყოფნის განმავლობაში მოაწყო ათი კრება, ორი მათ შორის ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად მოაწყო მიტინგები: ჯუმათში, სილოვანში, ქაქუთში, ოჯში და სხვა. ჩატარებულ იქნა ოცი პოლიტსაათი.

ნაწილში აღმოჩნდა 10 წითელ არმიელი წერა-კითხვის უცოდინარი,

მოხსენება

გამგეობის წევრის ვ. ნ. ბახტაძისა.

ს. ს. ს. რ. მთლიანი სამხედრო კოოპერატივის საკომერციო ნაწილის მოქმედების შესახებ საანგარიშო 1922 წელში.

მიუხედავათ იმისა, რომ მე საანგარიშო წლის ბოლოს დავიწყე მუშაობა კოოპერატივის გამგეობაში, ყრილობის ამდენი ხნით გადადებამ მომცა საშვალება დამეგროვებია და გავცნობოდი იმ მასალებს, რომლებიც ცხადად გამოხატავენ კომერციული ნაწილის ისტორიას თავიდან დაარსებისა და მის მუშაობას წარსულ წელში.

ზოგიერთი დაინტერესებული პასუხის მგებელ ამხანაგების ინიციატივით დაარსებული კოოპერატივი საქართველოს სამხედრო და საზღვაო კომისარიატისაგან ღებულობს საფონდო საქონელს 1921 წ. დეკემბერში მაშინდელი ფულის კურსით 3,654,245,500 მანეთისას. ვინაიდან კოოპერატივის პირდაპირ დანიშნულების მოვალეობის ასრულება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გაიყიდებოდა ეს საქონელი, გამგეობა აარსებს საფონდო ნაწილს შემსყიდველ—განმანაწილებელი ქვეგანყოფილებით. საანგარიშო წლის მარტში საფონდო ნაწილში ხდება ცვლილება. არსდება სავაჭრო-საფონდო ნაწილი, საქონლის შემსყიდველ ქვეგანყოფილებით. ამავე წლის აპრილში ეს ნაწილი ხელახლა იშლება და მის მაგიერ არსდება ორი ნაწილი: საფონდო და სავაჭრო. მხოლოდ მაშინ, როდესაც უმეტესი ნაწილი საფონდო საქონლის გაიყიდა, საფონდო ნაწილი იშლება და კოოპერატივის მთელი აღებ მიცემობა ევალება ახალ დაარსებულს საკომერციო განყოფილებას. ეს ხდება 1922 წ. ნოემბერში. ზემოხსენებული განყოფილებების და ქვეგანყოფილებების ამოცანას შეადგენდა საფონდო საქონლის ხელსაყრელად გაყიდვა და საერთოდ კოოპერატიული ვაჭრობის წარმოება. საერთოდ უმეტეს შემთხვევებში ეს ნაწილი აწვდიდა საქონელს მხოლოდ ტფილისში მყოფ თავის მაღაზიებს და ჯარების ნაწილების დუქნებს. რაც შეეხება ქუთაისის და ბათუმის განყოფილებებს, უკანასკნელნი თვითონ იძენდნენ საქონელს ადგილობრივ ბაზარზედ, ვინაიდან ეს უფრო ხელსაყრელი იყო.

თავის მოვალეობის განსახორციელებლად კოოპერატივი ხსნის:

1) მაღაზიას რუსთაველის პროს. 17 იანვარში. საიდანაც აწვდის საქონელს სხვათაშორის წითელ არმიელების დუქნებს. 2) ამავე დროს ხსნის სერგიევის ქ. ღვინის საწყობს.

3) აგვისტოში ხსნის მაღაზიას კახეთის მოედანზე და 4) ამავე დროს აარსებს საფართლო განყოფილებას რუსთაველის მაღაზიასთან.

საქონლის ბრუნვა.

1922 წ. განმავლობაში საქონლის ბრუნვა კოოპერატივის მაღაზიებში გამოიხატება შემდეგში:

შემოსავალით:

ა) შემოვიდა შემავალი ბალანსით 3.806.712.500 მან.

ბ) ნაყიდია 7.387.671,000 მ.

გ) გადაცემულია ერთი განყოფილებიდან მეორეში 2.275.708.000მ.

დ) ჯილდო საფართლო განყოფილების გამგეს, რომელიც ემატება კომისიათ საქონელს—

100.856.000. მან.

ს უ ლ: 14.270.095.500 მ.

გასავლით:

ა) გაყიდულია 11.716.000.000მ.

ბ) გადაცემულია სხვა და სხვა განყოფილებებზე 2.358.713.000. მ.

გ) გადაცემულია სხვა და სხვა განყოფილებებზე 111.649.000. მ.

დ) გადაცემულია წითელ არმიელთა დუქნებში 503.802.500 მან.

ე) დახარჯულია კოოპერატივისთვის 59.523.500. მ.

ვ) გადაცემულია საქონელში გასაცვლელად 874.836.600 მან.

ზ) ნაშთი 1923 წ. 1 იანვრისათვის 2.341.947.000 მ.

ს უ ლ: 17.966.546.000 მ.

საერთო მოგება შეადგენს 3.696 451.500 მანეთს ე. ი. 31,55 პროც. მთელი ბრუნვის თანხასთან შედარებით. მიმდინარე ხარჯები შეადგენს 1.132.962.500 მანეთს—9,67 პრ. კომერციული ნაწილის წმინდა შემოსავალი არის 2.563.489.000 მან. ე. ი. 21.88 პროც. მთელი თანხისა.

მთელი წლის განმავლობაში შეძენილი საქონელი ნაყიდია: ცალკე პირებისაგან 5.025.000.000 მ. 70 პროც. და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებიდან და კოოპერატივებიდან 2.367.000.000 მ. 30 პრ.

ს უ ლ: 7.087.935.000 მან.

გაყიდულ საქონელთა შორის არის: 1) პური—865 ფ. 17 ნახ გირვან., 2) ბრინჯი 131 ფ. 1 ნახ. გირვან., 3) შაქარი და შაქრის ფხვნილი 711 ფ. 20 ერთ. მეოთხ. გირ. 4) ჩაი 50 ფ. 36 გირვ. 5) ყველი 296 ფ. 35 გ. 6) ძეხვეულობა 96 ფ. 3 ერთ. მეოთ. გირ. 7) კვერცხი 17.875 ც. 8) კარაქი და ერბო 117 ფ. 24 გ. 9) ზეთი სამარხვო 8 ფ. 23 ნახ. გ. 10) ღორის ქონი 20. 2 ნახ. გირ. 11) თამბაქო 33 ფ. 20 ნახ. გირვ. 12) პაპიროსები 27.689 ც. 13) პურის ფქვილი 412 ფ. 6 სამი მეოთ. გირ. 14) საპონი სარეცხი 9639 ცალი, 2 ფუთი და ერთი იაშიკი. 15) საპონი პირისაბანი 2,588 ცალი, 16) წუმწუმი 31.190 კოლ 17) თევზეულობა 136 ფ. 16 გირ. 18) კომბოსტო და კარტოფილი 841 ფუთ. 24 გირ. 19) საბაკალიონო საქონელი 1.256.935.000 მან. 20) ღვინო 233.000.000 მან. 21) ფართლეულობა 1.927.000.000 მან.

ს უ ლ: 7.087.935.000 მან.

საფონდო საქონლის რეალიზაცია.

კოოპერატივის დასაარსებლად საჭირო თანხის მაგიერ საქართველოს სამხედრო და საზღვაო კომისარის მიერ იყო გადმოცემული საქონელი: ნალები, ბაწარი, ნალის ლურსმები, ავტომობილის ძველი შინები და კამერები, თხილამურები და სხვა სულ 3.654 245.500 მ. ღირებული. ეს საქონელი იყო მოთავსებული ნაწილი საინჟინერო უწყების საწყობში, ნაწილი კახეთის მოედანზე „ევკოგრუზის" საწყობში და ორი ათასი ფუთი ნალის ლურსმანი კი საქართველოს ბანკში. ეს საქონელი გაიყიდა სხვა და სხვა პირებზე 1.824.120.000 მანეთის და მოსევიჩზედ თანახმად ხელშეკრულებისა 23 თებერვლიდან 11.064 თათრული ლირის ღირებული. აი ეს ფულები შეადგენდა იმ სახსარს, რომელიც ასაზრდოებდა არამც თუ საკომერციო ნაწილს, არამედ მთელ კოოპერატივს პირველ ხანებში. 1 იანვრისთვის 1923 წ. გაუყიდავი დარჩა მხოლოდ 832.656,000 მ. საფონდო საქონელი, მათ შორის ბანკში დაგირავებული 958 ფუთი ცხენის ნალის ლურსმანი და კახეთის მაღაზიაში სხვა და სხვა ძველი საქონელი 209.956.000 მ.

საექსპედიციო საკომისიო კანტორა.

კომერციული განყოფილება 28 ივნისს ვინმე ჯანელიძესთან ამხანაგობით აარსებს საექსპედიციო საკომისიო კანტორას. საორგანიზაციო ხარჯებს იღებს თავის თავზე, თანახმად პირობისა, ჯანელიძე. ოპერაციები კანტორაში უნდა მომხდარიყო საკომერციო ნაწილის გამგის

რომელნიც დღეს მეცადინეობენ ადგილობრივ სასწავლებელში გამოცდილი მასწავლებელის ხელმძღვანელობით.

სამწყობრო მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალურად წითელ არმიელებსა და ადგილობრივ მცხოვრებთა დამოკიდებულება მეგობრულია.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გურიის გლეხობამ ზურგი აქცია ცრუმორწმუნოებას და გაუქმებულია მთელი რიგი ეკლესიებისა, რომელნიც გადაკეთდენ კლუბებით.

ქარჩხაძელი.

მსახიობებიც გვყავანან.

ა. წ. 7 აპრილს პირველ ლეგიონში დრამწრის მიერ წარმოდგენილ იქმნა პიესა „სულელი“. ვიდრე როლების ასრულებაზე ვილაპარაკებდეთ უნდა ვთქვა შემდეგი: 1-ლ ლეგიონში დასაწყისიდანვე არსებობს დრამწრე, რომლის წევრები პირველიდანვე მოჰყვნენ ამ წრეში და დღემდის თავიანთი ენერგია შეალიეს პირველ ლეგიონის სცენას. სცენის მოყვარეები სულ წითელ არმიელები არიან, რომელთაც დიდი პრაქტიკა მიიღეს და უნდა ვთქვა, რომ არ ჩამორჩებიან არცერთ ლეგიონის დრამწრეს. მიჰყავდათ სისტემატიურათ პიესები, როგორც რევოლიუციონური თარგმანები ისე ორიგინალური პიესები, და ეხლაც გვაჩვენეს თავიანთი სიყვარული სცენისადმი. პიესა „სულელი“ ძნელი დასადგმელია ჩვენს ჯარში, მაგრამ პირველ ლეგიონერებმა სძლიეს ამ დაბრკოლებებს და პიესა დამაკმაყოფილებლათ ჩაატარეს.

უნდა ითქვას, რომ ყველა ამსრულებლები თავიანთი სიმაღლეზე იდგნენ. დასასრულს პირველ ლეგიონის დრამწრეს ვუსურვებთ მეტ მოღვაწეობას პროგრესს და გამარჯვებას.

გ. გ—ლი.

რურის მუშებს.

(ძღვნათ)

ომის ღმერთები შავ ჯურღმულებში.
არ ისვენებენ,
და კვლავ ლამობენ
სისხლის წვიმით დასცრან ქვეყანა,
და ძველებურათ
გადალეკონ მაშვრალთ უბნები;
და ძველმა მეფემ,
ტირანმა ძველმა,—გამარჯვებით
ჩვენს გვამებზედ გადაიაროს.
და ჰა დარაზმა ზარბაზნები
ქუჩა, ქარხნებში—
და გველეშაპი სულ მლაჩავი
კვლავ ომს შეუდგა,
აღარ იკმარა სისხლი მუშის
მის სამეფოში;
სულით დატაკი, გრძნობით მხეცი
სისხლიან მეფემ მაშვრალ კვრას
ზარბაზნები გადმოუმიზნა,
ხელი ბინძური,
უნამუსო და სისხლიანი
ლამობს შეეხოს მაშვრალთ კვრას
დაუნდობლათ.
ომის ღმერთები კვლავ ცეცხლებს ჰყრიან...

2.

მსოფლიო მთელი დაიფარა
მძლე პროტესტებით,
„ძირს ომი“ ისმის ყველგან
მაშვრალთ რიგებში,
„ხელო ბოროტო,
ო დაეხსენი გერმანელ მუშებს,
თორემ წუთები შენი უკვე
დათვლილი არის.
შენს განზრახვაში,
შენვე თვითონ გაცამტვერდები.
მაგრამ მტარვალი წინ მოიწევს
თოფ ზარბაზნებით
და რურის მუშებს
თავს ესხმება ავაზაკურათ.
მაგრამ ვულკანი ამოხეთქავს
ცეცხლის ენებით,
აბობოქრდება სისხლის დროშა
კვლავ ბრძოლის ველზე,
ელვისოს ცეცხლი მშრომელთ გულში
აქარიშხლდება ვით ოქტომბერი
და ცეცხლში გახვევს მთელ მსოფლიოს
უკანასკნელათ.
და დასწვავს ქოს
ჩვეულებრივ კორიანტელში,
აათამაშებს სისხლის დროშებს
სისხლიან მკერდზე
და გახურებულ შანთით ამოსწვას
სულის ტკივილებს!!!
დე, გასკდეს მეხი მსოფლიოზე
აქარიშხალდეს კვლავ ბრძოლის ველი
ზღვას, დედა მიწას,
დიდ ოქტომბრის მოედოს ალი.
კვლავ ახმაურდეს
გამოწვრთნილი ბრძოლის ქარცეცხლში
რაზმი წითელი,
მთელ მსოლიო ბარიკადებზე.
ძირს ომი ძველი!!!
გაუმარჯოს წითელ ოქტომბერს!
ოქტომბრის ცეცხლმა—
ნიავ ქარათ ჰყოს ძველი ქვეყანა,
და მის ნანგრევზე ჩვენ აღვმართოთ
კოშკი სიმკვიდრის
კოშკი ერთობის სიყვარულის
და თანაგრძნობით
წითელი ოქტომბრის—
სისხლის დროშით დამშვენებული.

გოგიტო ციმბირელი

1901 წელში დაბადებულთა გაწვევა საქართველოს წითელ ჯარში.

(თ ე ზ ი ს ე ბ ი)

1. წითელი არმია არის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მონაპოვართა საიმედო დამცველი. ესაა შეიარაღებული მუშები და გლეხები.

2. წითელი არმია განირჩევა იმპერიალისტურ არმიებისაგან თავისი კლასობრივი შემადგენლობით. მის რიგებში ადგილი არ აქვს ექსპლოატატორებს. თუ წინად, ძველ არმიაში ოფიცრების თანამდებობა ეჭირათ მემკვიდრეობით აზნაურებს და ბურჟუაზიის შვილებს, ეხლა კი ჩვენ წითელ არმიაში ყველა უმაღლეს საკომანდო თანამდებობანი მუშებისა და გლეხების ხელშია. თუ წინად, ძველ არმიაში ჯარისკაცი იყო სისხლის მსმელი, მეფის ბრმა იარაღი და არ იცოდა მან სად მიდიოდა და რისთვის იბრძოდა, ეხლა კი ჩვენი წითელი არმიის თვითეული მებრძოლი წარმოადგენს რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეს, ღებულობს აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ, შედის რა წითელი არმიის რიგებში, ის სრულუფლებიანი მოქალაქე თავისი რესპუბლიკის, ღებულობს აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და სწამს, რომ წითელი არმიის რიგებში შესვლით ის იცავს თავის და მშრომელთა ინტერესებს.

იმპერიალისტური არმიების დისციპლინა აშენებულია ჯარისკაცის დაშინებაზე და ცემაზე.

ანხმობით. ეს კანტორა არსებობს მხოლოდ ათ ოქტომბრამდის, რომელსაც ხაგანგებო კომისია ატუსავებს, როგორც ჯანელიძეს ისე საკომერციო ნაწილის გამგეს. არსებობის დროს კანტორა აწარმოებს მხოლოდ ერთ ოპერაციას. ეს არის ქალაქის აღმასკომთან დადებული ხელშეკრულება შეშის მომარაგების შესახებ. მართლაც შეშის დამზადებაზე იყო მონდომებული უმეტესი ნაწილი აღმასკომიდან მიღებული ავანსისა (100.000.000 მან.) სულ 66 მილიონამდის. ჯანელიძის დაკავების შემდეგ ამ საქმეს ასრულობს კანტორის მოსამსახურე ჯანელიძის ხრივ — რონიშვილი, მიტროფან ლიძის [თავდებით. „შეშის დამზადების დასამთავრებლად ის ღებულობს საკომერციო განყოფილების გამგის მიერ შემოტანილ ავანსიდან დარჩენილ ფულს 33.000.000 მან. რონიშვილმა „ეს ანგარიში ველარ გაასწორა და პირველი იანვრის შემდეგ კოოპერატივის კასაში შემოიტანა უკანვე წაღებული ფული. ვინაიდან აღმასკომმა გვიჩივლა და კიდეც სასამართლომ მიუსაჯა მას, თანახმად ხელშეკრულებისა 200 მილიონი მანეთი ბონებით, გამგეობა კვლავ აძლევს პასუხის გებაში, როგორც რონიშვილს, ისე საკომერციო განყოფილების გამგეს, რომლებმაც აღმასკომის წინაშე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმხრივ მიაყენეს მატერიალური ზარალი კოოპერატივს, მეორე მხრივ დასცეს მისი პრესტიჟი. საკომერციო განყოფილების გამგე თუმცა იყო დაკავებული 8 ოქტომბერში, ის მალე იქმნა განთავისუფლებული, და თუმცა წლის ბოლომდინ იმუშავა ნაწილში, მიუხედავად რონიშვილთან ერთად მოქმედებისა, მის მიერ დაწყებული საქმე ველარ მოაგვარა.

ხელშეკრულებები.

საანგარიშო წლის განმავლობაში საკომერციო განყოფილება დებს სხვა და სხვა პირებთან რამოდენიმე ხელშეკრულებებს; მაგალითად: 1) ბრიგადირი და ხიტაროვთან—ხორცის დამზადებაზე, 2) მოსევიჩთან—საფონდო საქონლის გაყიდვის შესახებ, 3) ასოიანცთან — ნალების ლურსმების გაყიდვის შესახებ, 4) სიმონიანცთან და აბრამიანცთან—ღვინის ჩამოტანის შესახებ, 5) ჯანელიძესთან — საექსპედიციო საკომისიო კანტორის შესახებ. 6) იმნაძესთან — ღორის შაშხის დამზადების შესახებ. ეს ხელშეკრულებები გარდა ბრიგადირისა და ჯანელიძისა შესრულებულია. ბრიგადირის წინააღმდეგ კი საქმე იმყოფება სასამართლოში.

აგენტები.

პირველ ხანებში საფონდო და განმანაწილებელი განყოფილება საქონლის შეძენას აწარმოებდა მრავალრიცხოვან აგენტების საშვალებით, მაგრამ ეს სისტემა გამოდგა უვარგისი და იქნა მოსპობილი ახალი გამგეობის მიერ მუშაობის დაწყებისთანავე გ. ი. აპრილიდან. რაც შეეხება ზარალს ამ აგენტებისაგან, საკომერციო განყოფილებამ მართლაც დიდი ძალი თანხა დაკარგა. სულ: 337.721.000 მანეთი, რაც მაშინდელი კურსით შეადგენს 3.380 ოქროს მანეთს, და მიუხედავად სასამართლოში აღძრულ საქმეებისა ეს ზარალი დღესაც არ არის ანაზღაურებული.

დასკვნა.

ვინაიდან ყოველივე ზემოხსენებული მოითხოვს ერთ გვარ განმარტებას, მე ვთვლი საჭიროდ კრების წინაშე გავაშუქო, როგორც გამართლებული პირობები კომერციული განყოფილების ზოგიერთი არა ნორმალური მოქმედებების ისე ის უარყოფითი მოქმედებანი, რომლებსაც ახალი გამგეობა მიიღებს სახელმძღვანელოდ კოოპერატიული მუშაობის განვითარების პროცესში და ერთხელ გამოსწორებული შეცდომები, რომლებიც ძვირად დაუჯდა ჩვენს კოოპერატივს შემდეგში აღარ განმეორდებიან.

1.) საანგარიშო წელიწადი საკომერციო განყოფილებისათვის ტარდება მუდმივ რეორგანიზაციაში და გამგეების გამოცვლაში. თავიდან არა ნორმალურად დაარსებული ნაწილი მხოლოდ მეოთხე რეორგანიზაციის შემდეგ ღებულობს სასურველ სტრუქტურას. ამის გამოსწორება ხერხდება ახალი გამგეობის დაუღალავი შრომის შემდეგ. თავიდანვე ნაწილი თავისივე განყოფილებით ავსებულია ზედმეტი თანამშრომლებით და აგენტებით, რომლებიც ხელს უწყობენ არა საქმის გაუმჯობესებას, არამედ ზედმეტ ხარჯებს. ნაწილს არ ქონდა თავიდან არავითარი გამოცდილება, არავითარი კავშირი სახელმწიფო საკომერციო და კოოპერატიულ დაწესებულებებთან, არც იცნობდა კერძო ბაზარს. ამ ნაკლულევანების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ გამოცდილებას იჩენს ახალი გამგეობა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ყოფნის ენერგია ეს ნაწილი ჩამოაყალიბოს სასურველ ფარგლებში- მაგრამ მარტო რეორგანიზაციები და გამგეობის გამოცვლა არ არის საგულისხმო ფაქტორი ეხლანდელ პირობებში არეულ ბაზარზე ხელსაყრელი მუშაობისათვის.

2.) როგორც ანგარიშებიდან სჩანს საერთო შემოსავალი საკომერციო განყოფილებას საანგარიშო წლის განმავლობაში ქონდა 31,55 პროც. საერთო ბრუნვის თანხის შედარებით. მიმდინარე ხარჯები გაუწევია 9,67 პრ. წმიდა შემოსავალი კი ქონია 21,88 პრ. უმეტესი ნაწილი შემატების პროცენტისა ედება არა პირველი და მეორე ხარისხოვანი საჭიროების საქონელს, არამედ ისეთს, როგორიც არის ღვინო, ძვირფას ფართლეულობას და სხვას. საერთოდ ევკოგრუზი წასული წლის განმავლობაში ვაჭრობს ყველა ცალკე მაღაზიებზედ უფრო დაბალ ფასებში. მიუხედავათ იმისა, რომ მას აქვს მოქმედება ვიწრო მასშტაბში, ის მაინც უწევს ბაზარს ერთნაირ კონკურენციასავით. მას შეძლებისა და გვარათ შეაქვს თავისი წვლილი შავ ბაზართან ბრძოლაში. ასე რომ, მიღებული საერთო შემატება რასაკვირველია უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ. რაც შეეხება მიმდინარე ხარჯებს, მაშინ, როდესაც აუარებელი აგენტები პირველი გამგეობის მიერ დაქირავებული ფლანგავენ ევკოგრუზის ქონებას, პირველ ხანებში მეტიც იყო მოსალოდნელი. თუ ეს პროცენტი მცირეა მხოლოთ ახალი გამგეობის მიერ გაწეული ეკონომიის გამო. რასაკვირველია ზედმეტი ფრთხილება და აცდენა თავიდან მიმდინარე ხარჯებისა ხანდის—ხან გლახა გავლენას ახდენდა ნაწილზედ, მაგრამ მხოლოდ იმით აიხსნება ის მოვლენა, რომ ასე მცირე გამოვიდა ბოლოს და ბოლოს ეს ხარჯები.

3) ყურადღებას იქცევს ისგარემოება, რომ 70 პროც. ევკოგრუზის მიერ შეძენილი საქონლისა ნაყიდია კერძო ბაზარზე. ამ მოვლენებს ერთნაირად განიცდიან არამც თუ წასულ წელს ეხლაც კი ყველა სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული დაწესებულებები. დღემდის მიუხედავად ეკონომიური დაწესებულებების ბრძოლისა, ბაზარი არ ჩამოყალიბებულა და არ დამდგარა გარკვეულ გზაზედ. ის ხშირათ განიცდის გამოურკვეველ მდგომარეობას. ვალიუტის არა ნორმალური აწევ დაწევა ხშირად იწვევს პანიკას და მაშინ კი არამც თუ სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული დაწესებულებები,

წითელი არმიის დისციპლინა კი აგებულია თვით მებრძოლთა შეგნებაზე.

სამხედრო ბეგარის „წოხლა" მეფის არმიაში იყო უბედურება მშრომელისათვის. იქ ჯარისკაცებს ამყოფებდენ ყაზარმებში, მათ აიძულებდენ ელოცათ მეფისა და სამშობლოსათვის და ყოველმხრივ ცდილობდენ შთაენერგათ მათთვის მონობისა და მორჩილების გრძნობა.

წითელ არმიაში სამსახური სწავლებაა, რომლის /დროსაც მუშა და გლეხი იძენს წერა-კითხვას, პოლიტიკურ განვითარებას და მშრომელთა რესპუბლიკის იარაღით ხელში დაცვის უნარს.

3. წითელი არმია არ ატარებს არავითარ იმპერიალისტურ მიზნებს. მისთვის უცხოა ბრძოლა ბაზრებისა და საოკუპაციო მიზნებისათვის, რადგანაც ყველაფერი ეს უცხოა მის ხელმძღვანელს,—საბჭოთა ხელისუფლებას. წითელმა არმიამ უნდა განამტკიცოს რევოლუციის მონაპოვარი, დახმარება უნდა გაუწიოს სხვა სახელმწიფოების პროლეტარიატს კაპიტალის უღლის ჩამოგდებაში.

4. წითელი არმიის რიცხვი ამჟამად შემცირებულია მინიმუმამდე—(800,000 კაცამდე) საქართველოში ჩვეულებრივ 25,000 კაცის ნაცვლად, ეხლა ჯარში გაწვეული იქნება მხოლოდ 5,000 კაცი.

ჩვენ გვსურს დავუმტკიცოთ ყველა სახელმწიფოებს, რომ ჩვენ არ გვაქვს მტაცებლური ზრახვები და რომ ჩვენ ნამდვილად მივისწრაფვით მშვიდობიანობისაკენ. ჩვენ გვსურს მივსცეთ დასვენების და თავიანთი მეურნეობის მოწყობის საშუალება იმ ძველ მებრძოლებს რომლებიც უკვე ორი წელიწადია იმყოფებიან საქართველოს წითელი არმიის რიგებში და იარაღით ხელში იცავენ საბჭოთა ხელისუფლებას.

5. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას წითელი არმიისადმი.

საფრანგეთი არ კმაყოფილდება უამრავი სამხედრო ფლოტით და გამალებული [illegible] შეიარაღებით; პოლონეთის არმიის რიცხვი აღემატება საბჭოთა რუსეთის არმიის რიცხვს; [illegible] —ტერორი, პოლიტიკის და სხვა შესაძლებელია, რომ ჩვენ ვდგავართ კაპიტალის ახალი შეტევის წინაშე, რომელიც მიმართული იქნება [illegible] მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ.

6. ჩვენი გამარჯვების [illegible] კაპიტალიზე უზრუნველყოფს სამი ფაქტორი:

ა) [illegible] მუშათა კლასის [illegible] თავის [illegible] და წავა იმ გზით, რომელზედაც შედგა ძმა რუსეთის პროლეტარიატი 1917 წ. ოქტომბერში.

ბ) იმპერიალისტურ არმიების შეიარაღებაში ყოველივე ტეხნიკური გაუმჯობესებანი ვერაფერს შველიან ვერ მოიღწევენ, თუ იმპერიალისტური არმიის ჯარისკაცები შეიგნებენ, რომ მათ გზავნიან მუშების და გლეხების წინააღმდეგ და [illegible] ჩვენთან ბრძოლაში.

ორივე ეს ფაქტორი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ხოლო მესამე ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას, დამოკიდებულია წითელი არმიისაგან, ეს არის შეწყობილება, პოლიტიკური აღზრდა, დისციპლინა და სიმტკიცე მისი რიგების.

7. მიუხედავად კავკასიის, მისი [illegible] კონტრრევოლუციონერების ხანგრძლივ დამხობის მიზნით, საქართველოს მუშები და გლეხები მოვალენი არიან გამოზარდონ თავიანთი წრიდან საუკეთესო ამხანაგები და შეავსონ საქართველოს არმია, რომელიც რუსეთის სახელოვან წითელ არმიასთან ერთად იდგომება რევოლუციის და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესების სადარაჯოზე.

8. ამ მიზნით საბჭოთა საქართველოს მთავრობა [illegible] ნაციონალური არმიის შევსებისა და [illegible] შევსებისათვის, აპრილის [illegible] რიცხვებში აცხადებს 1901 წ. დაბადებულ მოქალაქეების გაწვევას.

9. საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობა მიზნად ისახავს გაატაროს ეს გაწვევა ისე, რომ შეიძლება უმტკივნეულოდ [illegible] მოსახლეობისათვის, ამიტომ სამსახურის ვადა შემცირებულია 6 თვემდე, ჯარში გასაწვევთა რიცხვი დაყვანილია 5.000 კაცამდე, რაც შეადგენს გასაწვევი ასაკის მხოლოდ ნაწილს. ამ რიგად მთავრობამ დაადგინა არმიის [illegible] მინიმალური ნორმა, რომელიც ჯერ ისტორიას არ ახსოვს.

ოჯახის ის წევრები, რომლებიც შეადგენენ ერთად-ერთ მუშაკებს, ფულების ეძლევა გაწვეული იქნენ მეორე რიგში; ყველა სასწავლებლების მოწაფეები თავისუფალი არიან სწავლის დამთავრებამდე.

10. წითელი არმიის მებრძოლის სახელი არ შეიძლება მიეცეს ბურჟუაზიის წარმომადგენელს.

პროლეტარიატს არ შეუძლია მიანდოს რესპუბლიკის დაცვა მის მოწინააღმდეგე კლასს.

ის, ვინც არ იქნება მიღებული წითელი არმიის რიგებში ბურჟუაზიული კლასისადმი კუთვნილების გამო, იხდის სპეციალურ სამხედრო გადასახადს.

11. რელიგიური სექტების წარმომადგენლები, რომლებსაც [illegible] და არმიაში [illegible] თავისუფალი არიან სამსახურიდან და იხდიან სამხედრო გადასახადს ბურჟუაზიასთან თანაბრად.

12. საბჭოთა ხელისუფლება იწვევს არმიაში ახალგაზრდა გლეხებს და მუშებს, მომზადებისა და სწავლებისათვის აძლევს გაწვეულებს მთელ რიგ შეღავათებს, ანთავისუფლებს მათ და მათ ოჯახებს სახელმწიფო გადასახადების უმეტეს ნაწილისაგან.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ არა ერთხელ დაამტკიცა, რომ ის სასტიკია იმათთვის, ვინც ბოროტი განზრახვით არ ასრულებს მის ბრძანებებს.

იმათ, ვინც არ გამოცხადდება საპატიო მიზეზის გარეშე, მათ მოელის რევოლუციონური სასამართლოს სასტიკი სასჯელი.

საქართველოს ახალგაზრდა შვილები სიხარულით და სიამაყით წავლენ და შეავსებენ საქართველოს წითელი არმიის ფოლადისებურ რიგებს, იარაღით ხელში დაიცავენ საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის, რესპუბლიკების კავშირის და მთელი მსოფლიო პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესებს.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს რუსეთის წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომუნიზმს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

არ უნდა ხდებოდეს.

„შემჩნეულია, რომ თითქმის ყველა ჯარის ნაწილებში სამხედრო სამართლიან ცნობის აწერისათვის ემუქრებიან უფროსები, ზოგჯერ კი აძლევენ საწყენად [illegible] სასარგებლო ცნობას."

გაზ. „წით. არ." №263

და შემარცხვენ მხილებით
ჩვენ ყუმბარა [illegible];
გადვისროლოთ მათკენ და
წითელ ცეცხლად დავუსხოთ.

რომ ეს არის ხდებოდეს—
საჭიროა გასწორდეს!
თუ არა და ასეთნი
ჩვენს ჯარს უნდა დაშორდენ!..

წითელ ლაშქარის რიგებს
ო, უნდა ამშვენებდეთ;
ერთ-ერთის სიყვარულით,
[illegible], ამშვენებდეთ!..

ასწერეთ სიმართლე და
ტყუილი არავინ სთქვას;
„ამხანაგის" სახელი
ჩვენში ამით გაითქვას.

ამხანაგებო, ყველა,
თქვენ-თქვენს ადგილზე, სმენა!!!
„ხათრი," „ბიძაშვილობა"
„მოგვიდგება" „დასმენა."

ჩვენში არ უნდა იყვეს!—
ეს ხმა ყველამ ისმინეთ!
მშრომელთა სასიხარულოდ
ტანჯვა, შრომა ისმინეთ.

და მივცეთ ხელი-ხელს
ვით შეშვენის წითელ ჯარს;
რომ ყველა მტერს, ყოფილით
ყოველგან სცემდეთ თავ-ზარს!..

დაშნა.

არამედ ყველა ეკონომიური დაწესებულებები ცარიდებიან ბანკის გავლენის. ქვეშ და მათი ნორმალური წინდაწინ გათვალისწინებული გეგმით მუშაობა ფერხდება. თავის თავად ცხადია მაშინ ყველა ფიქრობს იქ იყიდოს საქონელი, სადაც უფრო იაფია. საერთოდ საანგარიშო ხანაში ხშირად ვხედავთ ისეთ მოვლენებს, როდესაც ოფიციალური სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში და კოოპერატივებში უფრო ძვირია ზოგიერთი საქონელი. არის ისეთი მოვლენებიც პირველ მოთხოვნილების საგნები მაგ. ფქვილი, შაქარი, საპონი და სხვა ზემოხსენებულ დაწესებულებებს ხშირადაც არა აქვთ. გარდა ამისა ყველა სახელმწიფო ეკონომიური დაწესებულებები საანგარიშო წლის განმავლობაში, როგორც შინაურ ისე გარეშე ბაზარზე გამოდიოდნენ დაუსწრებლად ერთმანეთთან შეთანხმებით, რის გამო სარგებლობდნენ ცალკე ფირმები. რასაკვირველია სანამ ეს მოვლენა არ მოისპობა და ზემოხსენებული დაწესებულებები ერთსულოვნად არ გამოვლენ ბაზარზე მათთვის საქონლის შეძენა არ იქნება ხელსაყრელ პირობებში. გარდა ამისა შეთანხმებული გამოსვლა დიდ გავლენას მოახდენს ბაზარზედ და ხელს შეუწყობს მის ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ვინაიდან წასულ წელში ბაზრის არევ დარევა იქამდის მიდიოდა, როდესაც ყველა ეკონომიურმა დაწესებულებამ არ იცოდნენ რა ექნათ. მაგ. ნოემბერში — ზოგმა ოპერაციებიც შესწყვიტა მოკლე ხნით, ეს ევკოპერუპს არ ექნია, რაც დაუჯდა ნახევარი მილიარდზე მეტი. განსხვავება ამ არეულ ხანაში ევკოპერუპის საკომერციო განყოფილების ცხოვრებაში იყო მარტო ის, რომ საქონელი იყიდებოდა მხოლოდ წევრებზედ. და ვინაიდან ნახევარი მილიონი ეკონომია ამ დღეებში გასწია წევრებმა რასაკვირველია ეს არ უნდა ჩაითვალოს ევკოპერუპის ზარალათ. აი ის არეული პირობები, რომლებიც რასაკვირველია ხელს უშლიდენ სწორ და გამოცდილ ევკოპერუპს. საკომერციო ნაწილს ფაქრობის გამგეობაში გარდა ბაზრის არა ნორმალური მდგომარეობისა ფრიად საყურადღებო ნაწილის ფინანსიური დამოკიდებულება—მართალია თუმცა პირველ ხანებში ნაწილმა დიდი ძალი ფულები მიიღო და ბევრი საქონელიც შეიძინა, მაგრამ შემოსული ფული [illegible] თანამშრომლების შტატმა და აგენტებმა აპრილამდის, აგრეთვე ბევრი თანხა დასჭირდა საორგანიზაციო ხანაში სხვა წარმოთ განყოფილებას.

4) დიდ გავლენას ახდენდა ბაზრის არევ დარევა საქონლის დაფასებაზედაც. თუმცა საერთოდ საქონელი არამც თუ პირველი და მეორე, არამედ მესამე და მეოთხე საჭიროებისაც ევკოპერუპში მეტ დაბალ ფასებში იყო, ვიდრე ბაზარზე, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ფასების აწევ დაწევის დროს ხდებოდა უმნიშვნელო განსხვავება, რაც უმეტეს ნაწილათ ხდებოდა არა პირველ საჭიროების საქონელს. მიუხედავათ ამისა შეძლებისა და გვარად ეს დანაკლისი თან და თან სწორდებოდა.

5) არ შეიძლება მაინც და მაინც რომ ხაზ გასმით დავამტკიცოთ საავტორო მაღაზიებში იდეალურად საქმის დაყენება და ხელმძღვანელობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ღვინის საწყობი. სადაც ღვინო ფუჭდება და თვით საწყობიც არ არის დაკავებული ხელსაყრელ საჭირო ადგილას. მაგრამ ესეც საერთოდ ნაწილის არა ნორმალური პირობებში მუშაობის და არა შესაფერი შტატების შედეგია, რაც უკანასკნელ დროს თითქმის სავსებით გასწორებულია.

6) თუ გადავათვალიერებთ საანგარიშო ხანაში ნაწილის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, რომელთა უმეტესი ნაწილი დამტკიცებულია აპრილამდის ძველი გამგეობის მიერ, არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ისინი საერთოდ არ არიან შედგენილნი კოოპერატივის სასარგებლოდ და თუმცა მხოლოდ ერთი ხელშეკრულება ხითაროვის და ბრიგადირის სწარმოებს სასამართლოში და დანარჩენები კი დამთავრებულია, ევკოპერუპისთვის მათ საჭირო სარგებლობა არ მოუტანია, პირიქით ხითაროვზედ და ბრიგადირზედ შერჩა 79.977.500 მ. ე. ი. 800 ოქრო მანეთი.

ქართულ დივიზიის საინტენდანტო ნაწილზედ 55.917.000 მანეთი ე. ი. 560 ოქროს მან. ვინაიდან ხელშეკრულების თანახმად ევკოპერუპმა ვერ გამოიყენა სანარდო ავტომობილები.

7) მძიმე შეცდომას წარმოადგენს აგენტების საშუალებით საქონლის შეძენა, რაც ხდებოდა აპრილამდის. ეს სისტემა ყოველთვის იყო სახიფათო, რადგანაც ცალკე პიროვნებები სარგებლობდნენ იმით და მხოლოდ თუ გამგეობის პირველ შემადგენლობის ჩივილით კოოპერატიულ ამშენებლობაში უცხო დაკლებულად, რასაკვირველია ნაწილის გამგეს [illegible] საქციელი, რომელიც როგორც გამოცდილი კომერსანტი ამ მძიმე შეცდომას არ ასწორებს, რაც ევკოპერუპს უჯდება, როგორც წინედ ავღნიშნე 3.380 ოქრ მან. ეს არა ნორმალური მოვლენები აპრილიდანვე ახალი გამგეობის მიერ იქმნა მოსპობილი, და ამ ყრილობაზედ არჩეულმა გამგეობამ ეს გარემოება უნდა მიიღოს მხედველობაში და აგენტების სისტემით საქონლის დამზადება არავითარ შემთხვევაში არ აწარმოოს.

8) დასასრულში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ევკოპერუპში საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს საკითხი საანგარიშო პერიოდში გამგეობის მიერ არ იყო მოგვარებული, რაც აიხსნება იმით, რომ მთელი ეს ხანა იყო ორგანიზაციული პერიოდი და ვინაიდან ასე თუ ისე ევკოპერუპი ეხლა უკვე ჩამოყალიბებულია, ეხლა შეიძლება [illegible] საკითხი ფინანსიური საკითხის მოგვარების. თუმცა თავიდან საკომერციო ნაწილმა მართლაც ბევრი თანხა მიიღო და შეძენილი იყო საქონელი, ფაქრობის დროს შემოსული ფული თითქმის სავსებით მოხმარდა აპრილამდის უთავბოლო შტატს, აგენტებისაგან მიყენებულ ზარალს, ბევრი თანხა დასჭირდა აგრეთვე საწარმოო განყოფილებას—ორგანიზაციულ დროს; უკან კი ნაწილი [illegible] ფრიად შეზღუდულ საშუალებებს. ეს გარემოება ჩვენ მაღაზიებს თანდათან აცარიელებდა, ვინაიდან როგორც ზევით აღვნიშნე ევკოპერუპის ორგანიზაციული ხანა უკვე გათავდა, ვიმედოვნებ ყრილობა დაავალებს ახლად არჩეულ გამგეობას რათა კოოპერატივის საკეთილდღეოთ პირველი მათი ყურადღება მიქცეული იქნეს საფინანსო საკითხზე, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ერთგვარ განსაზღვრულ ფარგლებში. აგრეთვე დაავალებს ახალ გამგეობას, რათა მან თავის მომავალ მუშაობაში გაითვალისწინოს ევკოპერუპის ერთი წლის არსებობის მუშაობის განვითარების დროს დაშვებული, როგორც უპატიოთი ისე [illegible] პირობები და მოქმედებანი რის უმისოთ შესაძლებელია განმეორებული იქნეს ერთხელ დაშვებული შეცდომები რაც არა სასურველ მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენს ახალგაზრდა კოოპერაციას.

გამგეობის წევრი ვ. ბაბუაძე.

1200

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანგლაძე.